გიორგი ბარბაქაძე
არქეოლოგიის მაგისტრი, თსუ
Giorgi.barbakadze504@hum.tsu.edu.ge

სევსამორას ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბატილუმის განსასაზღვრად

საკვანძო სიტყვები: ბატილუმი, სინაგოგა, თორა, ლულავი, ეთროგი, მენორა
Keywords: Batillum, Synagogue, Torah, Lulav, Etrog, Menorah

ქართლის სამეფოს (კავკასიის იბერიის) ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტებიდან ბრინჯაოს ბატილუმები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა (ტაბ. I) (გამყრელიძე, თოდუა 2006: 99; დემეტრაძე 2014: 119; მშვილდაძე 2015: 82; ბიბილური 2018: 14-23; ნონეშვილი 2022: 207).

სამეცნიერო ლიტერატურაში, ბატილუმი საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთად არის მიჩნეული. გამოიყენებოდა საკმეველის ან სხვა სურნელოვანი ნივთიერების დასაწვავად ღვთისმსახურების დროს[1] (გაგოშიძე 1973: 78).

დღევანდელი მონაცემებით, ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, ოთხი ბატილუმია აღმოჩენილი: ორი ერთეული დედოფლის გორაზე, ერთი წიწამურის (სევსამორა) გორასთან, ერთიც კი – თბილისში (Gagoshidze 2008; ნიკოლაიშვილი 2005; Abramishvili et al., 2008).

სტატიაში განხილულია მხოლოდ წიწამურის მიდამოებში აღმოჩენილი ბატილუმი... სტრაბონის მიერ დასახელებული სევსამორას მახლობლად, გზის პირას გაგრძელდა გვიანტიკური ხანის ნასახლარის კვლევა (100მ^2), საკულტო ადგილის (3X2მ) დამწვარ ფენაში, სარიტუალო მოედანზე აღმოჩნდა, ოინოხოიას ყური, რომელიც ღვთაების ქანდაკებით იყო მორთული, ოქროს საყურეები, ვერცხლის კოვზი, მინის ჭურჭელი (balsamarium), განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბატილუმს – დაბალი გვერდებითა და მოკლე ორნამენტირებული სახელურით (Апакидзе и др., 1991: 82-83).

---

[1] ბატილუმის ფუნქციური და სიმბოლური მრავალწახნაგოვანი მნიშვნელობა მხოლოდ რომაულ ეპოქაში არ იწყება, მისი გენეზისის გასაგებად გარკვეულ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს ვალკამონიკას კლდის მხატვრობის მოტივები, ეტრუსკული სტელები და სიტულები, ასევე სხვადასხვა მუზეუმში დაცული არქეოლოგიური არტეფაქტები. ეს მაგალითები გვაფიქრებინებ, რომ ბატილუმს აქვს არქეტიპული წარმოშობა. შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, მიგვაჩნია და საკმაოდ მყარად შეგვიძლია დავადასტუროდ, რომ ბატილუმი წარმოადგენს ღრმა კულტურულ ფესვებზე დაფუძნებულ არტეფაქტს. იგი მულტიფუნქციური ნივთია, რომლის სიმბოლური მნიშვნელობა ცივილიზაციის ადრეულ ეტაპებზე ვითარდება, ტრანსფორმირდება და საბოლოო სახით, გარდა რომაულ პრაქტიკებში, თავს იჩენს რომაულ სირიაში წმინდა იუდეურ სიმბოლოებთან თანაარსებობაში (ბარბაქაძე 2025ა).

აღნიშნული არტეფაქტი წარმოადგენს ბრინჯაოს ნიჩაბს, რომელიც ნათლად შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც კლასიკური ბატილუმი[2]. იგი შედგება მოკლე, მთლიანად სხმული სოლიდური ტარისაგან, ბოლოვდება მომრგვალებული დისკოსებრი (ქოლგისებრი) ქუდით, რომლის ფუნქცია გარდა დეკორატიული დანიშნულებისა სიმძიმის გადანაწილებაც შესაძლოა ყოფილიყო. ბატილუმი იშლება, აქანდაზი და ტარი ცალ-ცალკე განყოფილებებად წარმოგვიდგება, ტარი სეგმენტურად დანაწევრებულია რგოლისებრი საფეხურებით, სიგრძივი ნაჭდევები ხელს უწყობს მოჭიდებას და ინსტრუმენტის კონტროლს სტაბილურობისთვის. პანელის უკანა მხარის კედელზე მოთავსებულია მრგვალი ჩასაჯდომი ღარი, ფიქსაციისთვის განკუთვნილი მცირე სივრცე, შეიძლება ვუწოდოთ საბუდარი, გახვრეტილია მცირე ზომის კვადრატის ფორმის ფირფიტაში, რომელშიც ტარის გაქლიბული კბილი მაგრდება, გახვრეტილია წრიულად, კბილის ზომის შესაბამისობაში, როგორც ჩანს გარე და შიდა კედელში ღიობი გადიოდა, თუმცა არტეფაქტზე დაკვირვებისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ღიობი ამოვსებულია და ტარის კბილის ზომაზეა მორგებული. დამაგრება ხდებოდა მექანიკურად, კბილი აშკარად გაქლიბულია და ღიობის ჩაღრმავებასთან შესაბამისობაში მოდის. კედლები სწორხაზოვანი კონსტრუქციისა, მართ კუთხეებში შემხვედრი, 90°-იანი კუთხით. ზედაპირი დაფარულია ნაკაწრებით, შეიმჩნევა მცირე რაოდენობით პატინა და ლაქოვანი კოროზია ზედაპირსა და ტარზე. ბატილუმის ორ მხარეს, პირთან, ერთმანეთის პარალელურად ამოჭრილია ნახევარწრიულად კედლები, აგებულების ჩონჩხი იკვრება ღია პირით, აღნიშნული ნაწილი ოდნავ დაქანებულია, ჩამავალია, რაც ვფიქრობ პრაქტიკულობასთან უნდა იყოს კავშირში, კონსტრუქციული დაქანება შესაძლებელს ხდიდა სურნელოვანი ნივთიერებების შეფერხების გარეშე, მარტივად ამოღებას და მასზე დაწვას, ან გარკვეულ სარიტუალო მოედნამდე მიტანას, სადაც ცეცხლის კერა იყო გაჩაღებული და იქ ჩაყრას. დაქანებული, დამრეცი პირი ხელს უწყობდა მარტივად ფუნქციონირებას ისე, რომ ზედ არ დარჩენილიყო ნარჩენი მასალა.[3]

ამგვარი ტიპის, კომპაქტური, დახვეწილი დიზაინის ბრინჯაოს ბატილუმები სავარაუდოა, რომ დანიშნულებას პოულობდა საკულტო პრაქტიკაში. მისი ზომა, მასალის მდგრადობა, აგებულების ლაკონურობა შესაბამისობაში მოდის იმ ტიპოლოგიურ მაგალითებთან, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად ფიქსირდება სინაგოგისა და თორის გაფორმებებში, იმ სექციებსა თუ პანელებზე, სადაც ასახულია სარიტუალო ატრიბუტიკა – წმინდა იუდეური სიმბოლოები.

---

2 განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ ხელშეწყობისთვის დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორს ნიკოლოზ მაისურაშვილს, ასევე ვეტერან და გამოცდილ არქეოლოგს ვახტანგ ნიკოლაიშვილს (ის მუდმივ მზადყოფნაში იყო წლების განმავლობაში შევერცხლილი გამოცდილება გაეზიარებინა ჩვენთვის).

3 არტეფაქტი აღწერილია სტატიის ავტორის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ მოზაიკური კომპოზიციები და არქიტექტურული დეტალები ქრონოლოგიურად გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება, მათში გამოსახული ბატილუმის ტიპის ობიექტები მიგვაჩნია, რომ აუცილებლად ეფუძნება გაცილებით ადრეულ, დამკვიდრებულ რელიგიურ ტრადიციას. მსგავს ვიზუალურ პანელებში კარგად იკითხება საკულტო მსახურებისთვის განსაზღვრული იკონოგრაფიული კონსოლიდაცია, სადაც ბატილუმს არა მხოლოდ ფუნქციური, არამედ სიმბოლური დატვირთვაც აქვს.[4] მიუხედავად გვიანანტიკური-ადრებიზანტიური ხანის ქრონოლოგიისა, ჩვენ საქმე გვაქვს უფრო ძველ რელიგიურ ტრადიციასთან, საუკუნეების მანძილზე გადაეცემოდა და გარდაიქმნებოდა ბატილუმის მსგავი ობიექტები, თუმცა ინარჩუნებდა მათ ძირითად ფორმასა და რიტუალურ ფუნქციას. არქეოლოგიური კონტექსტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბატილუმის შექმნის და გამოყენების პრაქტიკა „ფესვგადგმულია" (გადმოსულია წინაპართაგან, ღრმა ანტიკური ხანის სახელოსნო და სარიტუალო ტრადიციიდან). ბატილუმის სიმბოლური მნიშვნელობა მკაფიოდ ჩანს არქეოლოგიური კვლევა–ძიების საფუძველზე.

არსებული არქეოლოგიური და იკონოგრაფიული პარალელების მოშველიების საფუძველზე ვეცდებით დავადგინოთ, რომ მსგავსი ტიპი (სევსამორასა და არადეთის)[5] უნდა გამოყენებულიყო ებრაულ ღვთისმსახურებაში, შესაძლო ნივთის კონტექსტს თუ გავითვალისწინებთ და დავუკავშირებთ სარიტუალო მოედანს (ნიკოლაიშვილი 2005), სადაც ეს მნიშვნელოვანი ნივთი აღმოჩნდა. რიტუალური ცეცხლის, საკმევლისა და სხვა სურნელოვანი ნივთიერებების კმევის, ან მზა პროდუქტის დაწყობა და საკურთხევლამდე მიტანა, სრულიად შეესაბამება, როგორც ფუნქციურ, ისე რიტუალურ მრავალწახნაგობას. ამ აზრის დასადასტურებლად, რა თქმა უნდა, მოვიყვანთ მაგალითებს:

კაპერნაუმის სინაგოგა მონუმენტური ნაგებობაა, რომელიც აგებულია კარგად დამუშავებული კირქვის ქვებისგან. შედგება სინაგოგისგან (დარბაზი) და მასთან თანხვედრაში მყოფი ეზოსაგან. დარბაზი ბაზილიკის ტიპისაა, ვიწრო მხრებით, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ არის მიმართული. ჩასმული პილასტრები (კვადრატული სვეტები, რომლებიც კედლის ნაწილია) ამშვენებდა შენობის ექსტერიერის გვერდებსა და უკანა მხარეს. შენობა გადახურული იყო დახრილი კრამიტით, რომელიც შიდა სი-

[4] რუდგერსი ცდილობს ახსნა მოუძებნოს მოზაიკებში ასახულ სიუჟეტებს სეფეროსში აღმოჩენილი კერამიკული მასალის საფუძველზე, ის ასევე ახსენებს მოზაიკებზე გამოსახულ საკმევლის ნიჩბებს, რომელთა ზედაპირი დაფარულია კონცენტრული წრეებით. მიიჩნევს, რომ ეს აქანდაზზე დალაგებული საკმევლის ინტერპრეტაციაა (Rudgers 1999: 192-195).

[5] თბილისში აღმოჩენილი ბატილუმი ფორმის მდგრადობით, პრაქტიკულობით იმიჯნება სევსამორას და არადეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბატილუმებისგან და მიგვაჩნია, რომ მსგავსი აგებულების ტიპის ნივთები შესაძლოა რომაულ ადმინისტრაციულ შრეში ან სამხედრო ეკიპირებაში ვეძებოთ (ბარბაქაძე 2025ბ: 87).

ვრცეს, სვეტებზე დამაგრებულ ხის ძელებზე იყო დაყრდნობილი. მთავარი შესასვლელი ერთი დიდი კარისგან შედგებოდა, რომელსაც ორივე მხრიდან ორი პატარა შესასვლელი მიშენებული ჰქონდა, სამხრეთით, იერუსალიმისკენ მიმართული. დარბაზის ინტერიერი სამი მხრიდან (აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით) გარშემორტყუმული იყო სვეტებით, რომელზედაც კორინთული კაპიტელები იყო განთავსებული ამაღლებულ კვარცხლბეკებზე. დარბაზი მოპირკეთებული იყო დიდი ქვის ფილებით, ხოლო აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში დიდი ქვის სკამები იყო განთავსებული. დარბაზი ორსართულიანი იყო, შიგნით სვეტები კი მეორე სართულის გალერეას ეყრდნობა, რომელიც ინტერიერის ცენტრალურ ნაწილს (ნავს) გადაჰყურებდა, ნავში შემავალი მთავარი კარი შიდა ფასადს, თორის სალოცავებისთვის განკუთვნილ ორი ქვის პლატფორმას აკრავდა, ეს ნიშნავს, რომ დარბაზში შესვლის შემდეგ, მლოცველებს სრული წრე უნდა დაერტყათ, ლოცულობდნენ იერუსალიმისკენ მიმართული კედლისკენ (Magness 2012: 294).

შენობა უხვად იყო მორთული ქვის მოჩუქურთმებული რელიეფებით, რომელთაგან უმეტესობა კონცენტრირებული იყო სამხრეთ (იერუსალიმისკენ ორიენტირებული) ფასადზე, კარისა და ფანჯრის გარშემო. მთავარი კარის ზემოთ მდებარე დიდი, ნახევარწრიული ფანჯარა სინათლეს დარბაზში შესვლის საშუალებას აძლევდა, რელიეფები ძირითადად გეომეტრიული და ყვავილოვანი მოტივებისგან შედგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ახ. წ. 70 წლამდე ებრაული ხელოვნება თითქმის მთლიანად ანიკონიკური იყო (ფიგურული გამოსახულების გარეშე), ახ. წ. 70 წლის შემდეგ სინაგოგები სავსეა ფიგურული და თუნდაც წარმართული გამოსახულებებით, ებრაული სიმბოლოები და რიტუალური საგნები ასევე წარმოდგენილია კაპერნაუმში, როგორიცაა მენორა, შოფარი, საკმევლის ნიჩაბი (ბატილუმი), რომელიც მოჩუქურთმებულია კორინთული ტიპის კაპიტელზე (ტაბ. II) (Magness 2012: 295-296).

Hammath Tiberias („ტიბერიუსის ცხელი წყარო, წყლები“) მდებარეობს გალილეას ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ქალაქ ტიბერიას სამხრეთით. სახელის ეტიმოლოგია მომდინარეობს მიწისქვეშეთიდან ამომავალი ცხელი გოგირდის წყაროებიდან. 1960-იან წლებში, ებრაელმა არქეოლოგმა, მოშე დოთჰანმა გათხარა სინაგოგის შენობის სერიები, რომელიც შენდებოდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. ის სინაგოგა, სადაც მოზაიკურ პანელზე ბატილუმებია (საკმევლის ნიჩაბი) გამოსახული, თარიღდება ახ. წ. IV საუკუნით. სინაგოგა წარმოადგენს გარდამავალი ტიპის კლასიკურ მაგალითს, აშენებული იყო უხეშად თლილი ბაზალტის ქვებით და არ იყო მოჩუქურთმებული, სამაგიეროდ შენობის ინტერიერი მოზაიკით იყო მორთული (Magness 2012: 299).

შენობა ფართო ტიპის სახლს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავარი ღერძი მოკლე კედლების პარალელურია, ამიტომ სამხრეთისკენ,

იერუსალიმისკენ ორიენტირებული და ჩრდილოეთის კედელი გრძელი იყო. მთავარი შესასვლელი ჩრდილოეთის მხარეს იყო მიდგმული, კარი ცენტრში არ იყო ჩაშენებული, რადგან შენობის შიგნით სვეტების დამატებითი რიგი ერთ მხარეს ზედმეტ გასასვლელს ჰქმნიდა, ამიტომ ნავი ცენტრში არ იყო წარმოდგენილი, სამხრეთ კედლის წინ მდებარე ქვის პლატფორმაზე თორის სალოცავი იყო განთავსებული. გალილეის სინაგოგისგან განსხვავებით „ტიბერიუსის ცხელი წყლების“ სინაგოგაში თორა იყო მთავარი შესასვლელის მოპირდაპირედ, რაც გულისხმობს იმას, რომ მლოცველები შენობაში შესვლისას ლოცულობდნენ ერთი მიმართულებით, წრეს არ არტყავდნენ (Magness 2012: 299-300).

სინაგოგის დერეფნები და ნავის იატაკი მორთული იყო მოზაიკებით, რომელთა უმეტესობას ამშვენებდა გეომეტრიული და ყვავილოვანი ორნამენტები. ნავის ნაწილი ფიგურულ გამოსახულებებს შეიცავდა. მთავარი კარის შიგნით (ჩრდილოეთის კედელი) კვადრატული პანელები იყო, რომლებიც ბერძნულ ენაზე იყო შესრულებული (შემომწირველები იყო ნახსენები), წარწერებს აკრავდა ჩარჩო, რომელიც შესამჩნევ ადგილზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული, ყველა წარწერა ერთსა და იმავე ფორმულირებას მიჰყვება, მაგალითად: Maximos [ებრაული ან არამეული სახელის Gedaliah-ის ბერძნული ვერსია], შემომწირველებს გვერდზე აკრავს წყვილი ლომები, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ იუდეური ტომის სიმბოლოს (Magness 2012: 300-301).

ნავის ცენტრალური ნაწილი შეიცავს კვადრატულ პანელს, რომელიც წარმოადგენს წრიულ მედალიონს, მის ცენტრში გამოსახულია ბერძნულ-რომაული მზის ღმერთი ჰელიოსი, რომელიც ამხედრებულია ეტლზე, შებმულია ოთხი ცხენი, აღვირის მოზიდვით ცდილობს მართვას და ჰაერში გაჭრას (ეტლი და ცხენები დიდწილად განადგურდა, გვიანდელი კედლით, რომელიც იატაკში იყო ჩაჭრილი, გადაკვეთდა მას), ჰელიოსს ერთი ხელი აქვს აწეული, მეორეში სფერო და მათრახი უჭირავს, ატრიბუცია ღმერთის წარმოდგენილია თავზე სხივების სამშვენისით, მის გარშემო არის ზოდიაქოს თორმეტი ნიშანი, იდენტიფიცირება ხდება ატრიბუციით, სასწორის ნიშანს ხელში სასწორი უჭირავს, ქალწული არის ახალგაზრდა ქალი, რომელიც წარმოდგენილია ქალღმერთ კორე/პერსეფონეს მსგავსი ჩირაღდნით. ზოგიერთი მამაკაცის ფიგურა შიშველი და წინდაუცვეთელია, წრის გარეთ მოედნის კუთხეებში ოთხი ქალია, რომელიც სეზონებს გამოსახავენ, თავისი ატრიბუტებით შესაძლოა გარჩევა, თითოეული ებრაული წესით ეტიკეტირებულია (Magness 2012: 301).

ჰელიოსისა და ზოდიაქოს ციკლის ზედა მხარეს, გამოსახულია პანელი, რომელიც თორის სალოცავის წინ არის მოხატული, ცენტრში წარმოდგენილია ნაგებობის ფასადი ორმაგი დატვირთვის კომპოზიციით, მოპირკეთებული კარითა და დახრილი სახურავით, რომელიც როგორც ჩანს წარმოადგენს აღთქმის კიდობანს ან თორის სალოცავს, ამ ნაგებობას გვერდებზე

სხვადასხვა ებრაული რიტუალური ნივთი აკრავს: მენორა, შოფარი, ბატილუმი (საკმევლის ნიჩაბი), ლულავი, ეთროგეები (ტოტებისა და ციტრუსის კონა, რომელიც გამოიყენება სუკოტის, კარვების დღესასწაულის აღსანიშნად) (Magness 2012: 301).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენაა მოჩუქურთმებული რელიეფები მენორათი, რომელსაც თან ახლავს რიტუალური საგნები, ორმაგი კოლუმი დადასტურებულია უმ ელ–ქანატირის ფასადზე (Umm el-Qanatir). მენორა შვიდმკლავიანია, სამფეხზე დგას, მარცხენა მენორას, აღმოსავლეთის სვეტზე, ერთ მხარეს აკრავს საკმევლის ნიჩაბი, ლულავი და ეთროგი. მენორა, დასავლეთის სვეტზე, ერთ მხარეს ლულავით და ეთროგით არის წარმოდგენილი, ხოლო მეორეზე კი – შოფარი და საკმევლის ნიჩაბი. დეკორაციები ამ ორი კოლუმის სიმეტრიულ თანხვედრაში არაა და არ არის ერთმანეთთან იდენტური (Hachill 2013: 307-310) (ტაბ. III), კოლუმის ბაზისზე, აშქელონი, გამოსახულია მენორა, ბატილუმი (საკმევლის ნიჩაბი) და შოფარი (ტაბ. IV) (Hachill 2013: 313), ბეთ ალფაში და ბეთ შეანბიში (ტაბ. V), ჰულდაში, გერასაში (Hachill 2013).

რიტუალური საგნები მენორას გვერდითაა სხვადასხვა არქეოლოგიურ ობიექტსა თუ ძეგლზე, შესაძლოა კომპოზიციის მხრივ, ასიმეტრიული იყოს ერთმანეთთან და უმეტეს შემთხვევებში არ იყოს მსგავსი, თუმცა მოტივი, ატრიბუცია, სკოლა, შემქმნელის ხედვა კანონიკური დადგენილი წესები მკაფიოდ ჩანს.

წმინდა იუდეური სიმბოლოების გამოჩენა, როგორიცაა ლულავი, ეთროგი და სხვა... ებრაელთა ომის მეოთხე წლის ახ. წ. 69 წლის მონეტებზე და ბარ-კოხბას აჯანყების ახ. წ. 132-135 წლის მოჭრილ ნუმიზმატიკურ მასალაში იკითხება. მეშორერის ინტერპრეტაციით: „ასახავს ტაძრის აღდგენის სურვილს“, ასევე, როგორც პროტესტს, უკუკავშირს რომის მიერ დადგენილი კანონების წინააღმდეგ, კარვების დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ“, ისრაელის მიწაზე ეს ატრიბუცია გვხვდება სინაგოგის მოზაიკებზე... მენორას გვერდით ოთხი რიტუალური ობიექტის სრული ბუკეტი ხშირად ჩანს მოზაიკებზე, ყველაზე გავრცელებული წყვილი შოფარი (ნაღარა) და ბატილუმია (საკმევლის ნიჩაბი), ამ წყვილების უმეტესობა გამოსახულია კაპიტელებზე, საყრდენ სვეტებზე, საბეჭდავებზე, სანათებზე, ჭრაქებზე, სპილოს ძვალზეცაა ამოკვეთილი (Hachill 2013: 328-330). ყველაზე საინტერესო აღმოჩენებს შორისაა, ორი საკმევლის ნიჩაბი, რომელიც თიხისგან არის დამზადებული, თარიღდება ახ. წ. II-III საუკუნეებით. ისინი აღმოჩენილია, საცხოვრებელ კვარტალში, დასავლეთ მწვერვალზე მდებარე ვრცელი საცხოვრისის ტერიტორიაზე, ეს ორი არტეფაქტი წარმოადგენს და შედის იმ ჯგუფში, რომლებიც უმეტესობა ბრინჯაოსგან არიან სხმული და მთელ სირია-პალესტინის ტერიტორიაზე გვხვდება, აღმოჩენილია ცისტერნაში, სადაც ადგილობრივი წარმოების ნიმუშები და ჭრაქები იყო მოთავსებული, დანიშნულე-

ბის მხრივ გამოიყენება საკმევლის დასაწვავად, ფუმიგაციისთვის, მწერებისა და ქვეწარმავალების განსადევნად. ასეთი ტიპის ნიმუშებს, თუნდაც ბრინჯაოსას პარალელები არ ეძებნება (Nagy 1996: 205-206). რუტგერს სხვა აზრი აქვს და აღნიშნავს ლი ლევინის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ახ. წ. II-III საუკუნეებში ებრაელი სამღვდელო, წარჩინებული პირები მატერიალურად მდიდრები იყვნენ, დღემდე დაუზუსტებელია, როდის ხდება გალილეა რელიგიური ეპიცენტრის სათავეში, ბეით ნეტოფას ხეობაში და თვით სეფეროსის აკროპოლისში ცხოვრობდნენ სამღვდლო წარმოშობის ადამიანები, შესაძლოა თვით მღვდლებიც იყვნენ, ელ თელის მაგალითის შემდგომ, არქეოლოგები დააკვირდნენ იმასაც, რომ სეფეროსში აღმოჩენილ მასალაზეც არ შეიმჩნევა საკმევლის გამოყენების კვალი, ცისტერნების გარდა აკროპოლისშიც აღმოჩენილ მასალაშიც არ ჩანს ცვეთის ნიშანი.... რუდგერსი საბოლოო ჯამში მიდის იმ დასკვნამდე, რომ კერამიკულ ნიჩბებს სამღვდლო დანიშნულება აქვს და საკმევლის დასაწვავ ინსტრუმენტად შესაძლოა იდენტიფიცირდეს, მისი აზრით ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რასაც ეპიგრაფიკული და ლიტერატურული წყაროები მიუთითებენ – რომაულ და ბიზანტიურ პალესტინაში მღვდლების შთამომავლები აგრძელებენ „კვალის დატოვებას“ საზოგადოებაზე, მაშინ, როდესაც დიასპორებში სასულიერო პირები არასდროს წარმოადგნენ ისეთ ძალას, რომლებისთვისაც ანგარიშის გაწევა იყო საჭირო (Rudgers 1999: 192-196).

მიგვაჩნია, რომ რუდგერსი საკმაოდ ართულებს მსჯელობას. შესაძლოა საქმე იმაზე მარტივ ამბავთან გვქონდეს ვიდრე ეს მას წარმოუდგენია... ფუმიგაცია ფართო ტერმინია და როდესაც იუდეურ წეს-ჩვეულებებზე ვსაუბრობთ შესაძლოა მრავალ მნიშვნელობასთან გვქონდეს საქმე, იქნებ ეს ნივთები მართლაც მღვდელმთავრების ოჯახებში ინახებოდა, თუმცა იყენებდნენ ასახრჩოლებლად და ქვეწარმავლებს დევნიდნენ საკუთარი სახლებიდან... კერამიკულ ნაწარმზე შესაძლოა წვავდნენ რაიმე მომწამლავ ნივთიერებებს, რომელიც განდევნიდა მათ, ტერაკოტას ნაწარმი ხომ არ მიუთითებს ყოველდღიურ პრაქტიკაზე, ბრინჯაოს მასალა კი – სარიტუალო ადგილებში გამოიყენებოდა? ოსტატი არ ღალატობს წინაპართაგან გადმოცემულ ტრადიციას, ქმნის ისეთ ნივთს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გამოიყენებოდა წმინდა ადგილებში სამსახუროდ, „ახალ ველოსიპედს“ არ იგონებს და ზუსტად მსგავს, იდენტურ ფორმას ქმნის, რომელიც იცის, რომ გარკვეულ მიზნის შესასრულებლად არ დააღალატებდა, იქნებ ეს მღვდლები ყოველდღიურად ლოცულობდნენ და იყენებდნენ რაიმე ლიტურგიული პროცესებისთვის.

კიდევ ერთი საინტერესო აღმოჩენა გახლავთ მაგდალაში, გალილეა, 2016 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, აპრილის თვეში აღმოაჩინეს საკმევლის ნიჩაბი, ნავმისადგომთან, ახლოს მდებარე საწყობთან.

რიჩარდ ბაუქჰამის აზრით, ადრეულ ცნობებში ეს ნივთი აღწერილია, როგორც ტაძრის რიტუალებში გამოსაყენებელი ინსტრუმენტი, მისი თქმით ეს შეცდომაა. მართალია მიშნას ყოველდღიური შესაწირავის ცნობების თანახმად ყოველ დილით მღვდელი ასუფთავებდა ვერცხლის საცეცხლურით ნაცარს შესაწირავი სამსხვერპლოდან, ასევე აგროვებდა ანთებულ ნაკვერჩხალს, რომელსაც ოქროს საცეცხლურში გადაიტანდა, შემდგომ ეს საცეცხლური საკურთხეველში შეჰქონდა და ნაკვერჩხლებს სამსხვერპლოზე აწყობდა, შემდგომ სხვა მღვდელი საკმეველს სწირავდა სამსხვერპლოზე. გამოსყიდვის დღეს მღვდელი საცეცხლურს კიდობანზე დებდა, შემდგომ ცეცხლზე საკმეველს აყრიდა. ამ ცნობების მიხედვით, ბაუქჰამი ვარაუდობს, რომ საცეცხლურს საკმევლის დანთებისთვის იყენებდნენ, თავად ინსტრუმენტი კი – ნაკვერჩხლისთვის იყო განკუთვნილი და არა საკმევლისთვის, სწორედ ამიტომ ტერმინი საკმევლის ნიჩაბი შეცდომაში შემყვანია. მისი აზრით, ცეცხლის ნიჩაბი/აქანდაზი არის გამოსახული სინაგოგებში სხვა რიტუალურ ნივთებთან ერთად. მაგდალაში აღმოჩენილი იდენტიფიცირდება როგორც საკმევლის ნიჩაბი, თუმცა მას საკმეველთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს[6] (Bauckham 2018: 54-55). მაგდელაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბატილუმი დოქთან ერთად არის აღმოჩენილი, შესაძლოა კრემაციული რიტუალისთვის გამოიყენებოდა (Bauckham 2018: 56). დინა გორნი ვიდეო მიმართვაში იხსენებს 2009 წელს აღმოჩენილ ბატილუმს, სპეციალისტის თქმით ეს ინსტრუმენტი ეკუთვნოდა ებრაულ ოჯახს, რომელიც ინახავდა მას სათავსოში, გათხრების შედეგადად მოპოვებული ინფორმაციით კომპლექსი თარიღდება ახ. წ. I საუკუნით (გორნი 2016).

2015 წელს, აღმოსავლეთ გალილეაში იპოვეს ბრინჯაოს ნიჩაბი, რომლის ტარი დაბოლოებულია იხვის თავის და კისრის გამოსახულებით, ელინისტურ-რომაულ ფენაში, რომელიც წარმართულ რიტუალთან ასოცირდება (Bauckham 2018: 55).

135-ზე მეტი batillum, ნიჩაბი იდენტიფიცირებულია მსოფლიოს მაშტაბით და უმეტესობა კი – უკონტექსტო გახლავთ. რიჩარდ ფრაუნდის აზრით, არსებობდა სხვადასხვა სახით საკმევლის გამოყენება, რომელიც შესაძლოა გაგრძელებულიყო ტაძრის სამღვდელო მსახურებიდან რაბინის სინაგოგის რიტუალამდე და იარსება ახ. წ. VIII საუკუნემდე. მისი თქმით ბრინჯაოს საკმევლის ნიჩაბი იერუსალიმის ტაძრის განადგურების შემდეგაც გამოიყენება. საბოლოო ჯამში, იადინის თეზისები[7] გადაფასდა და უარყო-

[6] მერამდენე შემთხვევაა, სადაც მკვლევარი ვერ აფიქსირებს საკმევლის ნიჩაბზე (ბატილუმზე) არსებულ ნადებს, რითაც დადასტურდება მისი სურნელოვანი ნივთირებების წვასთან კავშირი, იქნებ იმიტომ არ დასტურდება ეს ფაქტი, რომ რიტუალის შემდგომ სპეციალურ ხსნარში წმენდნენ ნივთს?!

[7] მკვლევრებს სხვა არგუმენტებიც მოყავთ იქნება ეს ტექსტილი, კერამიკული მასალა, სტრატიგრაფია და სხვა... ჩვენ თემიდან გამომდინარე ყურადღება ბატილუმზე (საკმევლის ნიჩაბზე) და ინტერდისციპლინალურ კვლევებზე გავამახვილეთ, აღნიშვნის

ფილია არგუმენტებით, რომ ყველა არტეფაქტი არ თარიღდება ბარ-კოხბას აჯანყებით, ორი დიდი ბრინჯაოს ფიალა, ერთ-ერთზე შემორჩენილ თოკს c14 ანალიზი ჩაუტარდა და თარიღდება ახ. წ. 70 წლით, მეორის მსგავსი ანალოგიები პომპეიში და ჰერკულანუმში დასტურდება. კიდევ ერთი მტკიცებულება არის ის, რომ სარიტუალო ნივთები იქ იყო დამარხული განძის სახით, სადაც აჯანყებულებმა საპირფარეშო გამართეს, ფრაუნდის აზრით, სწორედ ამიტომ ბარ-კოხბას აჯანყების დროს ლტოლვილებმა ამ ნივთების შესახებ არაფერი იცოდნენ და ამბოხზე ადრინდელია და სხვა ხალხმა, ჩამარხა, ამიტომ უნდა დათარიღდეს ახ. წ. II საუკუნეზე ადრე (Freund 2018: 141-154).

ის მონაპოვარი, რომლებიც თარიღდება ახ. წ. I საუკუნით არის საკმევლის ნიჩბები და დაფლული განძის გარკვეული ნაწილი, ქვის ჭურჭელი ფსალმუნების ფრაგმენტი, პირველი აჯანყების მონეტები, შესაძლოა წაიღეს გამოქვაბულში იერუსალიმის ტაძრის მღვდლებმა, რომლებიც გაექცნენ ვესპასიანუსსა და ტიტუსს (Bouzard 2018: 238).

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ეს ნივთები ქართლში მცხოვრებ ებრაულ თემს უკავშირდება და აუცილებლად გამოიყენებოდა გარკვეულ სარიტუალო ადგილში ღვთისმსახურებისთვის, გადაჭრით საუბარი იმაზე, რომ ამ ნივთებზე საკმეველი შესაძლოა იწვოდა ვერ ვიტყვით, გვიწევს თავის შევიკავება, რადგან არ არის ჩატარებული ინტერდისციპლინალური კვლევები, რითაც უფრო მეტს გავიგებდით ამ ნივთების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ შესაძლოა ამ ბატილუმებზე მზაპროდუქტები იდებოდა და ისე მიჰქონდათ საკურთხევლამდე, ან იმ ადგილამდე სადაც გავარვარებულ ადგილზე სურნელოვან ესენციებს ჩაყრიდნენ და გარკვეულ სარიტუალო წესდებებს შეასრულებდნენ. სავსებით შესაძლებელია, რომ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე არსებული ბატილუმები მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლებს, მღვდელმთავრებს ეკუთვნოდათ, რომლებიც რომაულ რეპრესიებს გადაურჩნენ და თავი ქართლის სამეფოს შეაფარეს.

ღირსია ისიც, რომ გამოქვაბულში ყველაზე ადრეული ფენა არის ხალკოლითის პერიოდის ძვ.წ. 4500-3200, შემდგომ დიდი ქრონოლოგიური წყვეტაა, მეორე ფენა არის პირველი აჯანყების პერიოდი ახ. წ. 66-132, მესამე ეს არის ბარ-კოხბას აჯანყება, და მეოთხე ახ. წ. 135-XXI საუკუნის ჩათვლით (Freund 2018: 1).

ტაბულების აღწერილობა:

I. ბატილუმები ქართლის სამეფოდან: სევსამორა, არადეთი, თბილისი (ილუსტრაციები ნუმერაციის მიხედვით);

II. კორინთული ტიპის კატელი (კაპერნაუმი);

III. სინაგოგის ნავში არსებული მოზაიკური იატაკი;

IV. უმ ელ-ქანატირი, მარცხნივ აღმოსავლეთ მხარის კოლუმი, მარჯვნივ დასავლეთის;

V. აშქელონი, ბაზისი;



I.



II.

III.

IV.

V.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- **ბარბაქაძე 2025ა:** ბარბაქაძე გიორგი. კლდის მხატვრობიდან რიტუალურ ინსტრუმენტამდე: Incense Shovel კულტურული ევოლუცია, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისადმი მიძღვნილი სტუდენტური კონფერენცია, თსუ 107, 11-12 თებერვალი, 2025, გვ. 14;
- **ბარბაქაძე 2025ბ:** ბარბაქაძე გიორგი. ბატილუმი არქეოლოგიური აღმოჩენებისა და ისტორიული წყაროების კვალდაკვალ: ფუნქციური და სიმბოლური დატვირთვის მრავალწახნაგობა, არქეოლოგიის მაგისტრის (M.A.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბილისი, 2025;
- **ბიბილური 2018:** ბიბილური თემურ. რომაული იმპორტი ქართლის (იბერიის) სამეფოში. აკადემიკოს ა. აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი, №1, თბილისი, 2018, გვ. 14-23;
- **გაგოშიძე 1973:** გაგოშიძე იულონ. ბატილუმები არადეთიდან. ძეგლის მეგობარი №33, 1973, გვ. 77-82;
- **გამყრელიძე, თოდუა 2006:** გამყრელიძე გელა, თოდუა თემურ, რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში, „საუნივერსიტეტო გამოცემა“, თბილისი, 2006;
- **გორნი 2016:** ებრაული ტაძარი მაგდალაში. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=q5wUTXl0na8, ბოლოს დამოწმებული 01.02.2026;
- **დემეტრაძე 2014:** დემეტრაძე ირინე. იბერიის კულტურული ლადშაფტები: ნამოსახლართა მოდელები „მცხეთის ქვეყანაში“ ძვ. წ. პირველ – ახ. წ. მესამე საუკუნეებში. არქეოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014;
- **მშვილდაძე 2015:** მშვილდაძე მადონა. იბერიის ქალაქთა ლოკალიზაცია კლავდიოს პტოლემაიოსის კოორდინატთა სისტემის მიხედვით. არქეოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015;
- **ნონეშვილი** 2022: ნონეშვილი ალექსანდრე. იბერიაში რომაული სამხედრო ქვედანაყოფის დისლოკაციის შესახებ (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). აკადემიკოს ა. აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი №7, თბილისი, 2022, გვ. 206-209;
- **ნიკოლაიშვილი 2005:** ნიკოლაიშვილი ვახტანგ. დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). იბერია-კოლხეთი №2, თბილისი, 2005, გვ. 93-108;
- **Abramishvili 2008:** Abramishvili Mikheil. Roman aristocracy in Tbilisi? Ancient Near Eastern studies, archaeology in the Southern Caucasus: Perspective from Georgia. Leuven, Paris, Dudley, MA: Peeters, 2008, გვ. 441-448;
- **Gagoshidze 2008:** Gagoshidze Iulon. Iberia and Rome: The excavations of the palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia. Beier & Beran, 2008;
- **Bauckham 2018:** Bauckham Richard. Magdala as We Now Know It: Magdala of Galilee: A Jewish city in the Hellenistic and Roman period. Baylor University Press, 2018;
- **Bouzard 2018:** Bouzard Walter. Dead Sea: New Discoveries in the Cave of Letters. Peter Lang, 2018;

- **Freund 2018:** Freund A. Richard. Dead Sea: New discoveries in the Cave of Letters. Peter Lang; 2018;
- **Magness 2012:** Magness Jodi. The archaeology of the Holy Land: From the destruction of Solomon's Temple to the Muslim conquest. Cambridge University Press; 2012;
- **Nagy 1996:** Nagy M. R.. Sepphoris in Galilee: Crosscurrents of Culture. Raleigh: North Carolina Museum of Art, 1996;
- **Rutgers 1999:** Rutgers Leonard Victor, Incense shovels at Sepphoris? In E. M. Meyers (Ed.), *Galilee through the centuries: Confluence of cultures* Winona Lake, IN: Eisenbrauns, 1999, ვ3. 177-198;
- **Апакидзе и др., 1991:** Апакидзе Андреа, Николаишвили Вахтанг, Гиунашзили Гела, Давлианидзе Реваз, Дхгаркава Теймураз, Нариманишвили Годердзи, Садрадзе Важа, Сихарулидзе Анзор. Археологические раскопки Мцхетской экспедиции. Полевые археологические исследования в 1986 году, Мецниереба, Тбилиси, 1991, ვ3. 79-84;

Giorgi Barbakadze
Master's Degree in Archaeology, TSU
Giorgi.Barbakadze504@hum.tsu.edu.ge

TO DETERMINE THE IDENTIFICATION OF A BATILLUM (INCENSE SHOVEL) DISCOVERED ON THE TERRITORY OF SEVSAMORA (TSITSAMURI) AREA

(SUMMARY)

This study focuses on the bronze batillum (incense shovel) discovered near Sevsamora, within the territory of the Kingdom of Kartli (Caucasian Iberia). However, only four batillum have been identified in Kartli to date – two from Dedoplis Gora, one from Tbilisi, and one from Sevsamora. The latter presents unique features that allow it to be classified as a classic example.

Although the available material dates to Late Antiquity, the visual evidence suggests that the ritual use of the batillum did not emerge suddenly during this period. Alternatively, its form and symbolic associations appear to preserve elements of earlier ritual traditions that are present in both Jewish and Roman religious contexts. When examined archaeologically, the batillum should therefore be understood not only as a cultic symbol, but also as an object shaped by prolonged contact between different religious communities, reflecting the movement of ideas, practices, and identities across wider cultural networks.

The archaeological study of the batillum absolutely shows us that this cultic instrument is representative of global cultural exchange and the expression of religious identities. Its form, function, and geographical distribution reflect the diversity of its ritual significance. Indeed, this single ritual object allows us to journey across time, offering a tangible link to the cultural landscapes of the main the main objective of the presentation is to reveal the developmental stages of the batillum (incense shovel) and its functional diversity, which entails tracing the transmission of form ideas through cultural exchange and identifying their adaptation within different societies, including in the context of the Kingdom of Kartli (Caucasian Iberia). Archaeological research on the batillum clearly demonstrates that this cultic instrument expresses global interactions, cultural exchange, and religious identities. Its form, function, and distribution attest to the multiplicity of religious meanings – indeed, a single ritual instrument takes us on a journey into the past.

By analyzing Batillum's discovery in comparison with other archaeological excavations and written evidence, the study suggests that these artefacts in Caucasian Iberia may have been employed by local Jewish groups, potentially associated with prominent religious figures who found shelter in Iberia after Roman suppression. More broadly, the research highlights the cultural and ritual significance of incense shovels in the Caucasian context, viewing them as symbols of identity and continuity within Jewish religious traditions in the diaspora.

Finally, the study of incense shovels in Caucasian Iberia contributes to a more nuanced understanding of Jewish life in the region during Late Antiquity. Rather than viewing ritual instruments as passive imports, the archaeological evidence allows us to see how archaeological objects were integrated into local religious rituals and reinterpreted within specific historical circumstances. In this way, the Batillum serves as a small but meaningful indicator of broader cultural processes, linking Kartli to the wider religious and cultural networks of the ancient world.

We believe that perhaps these Batillums were used to place incense products and carry them to the altar, or to a place where fragrant essences were poured onto the heated ground, and certain ritual regulations were performed. It is quite possible that the Batillum located on the territory of the Kingdom of Kartli belonged to representatives of the high social circle, high priests, who survived Roman repression and took refuge in the Caucasian Iberia.